საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-657

15/07/2019

ქ. თბილისი

ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუსთავში შპს „ველის“ წიდის გადამამუშავებელი საწარმოს (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ველის“ მიერ, გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ რუსთავში წიდის გადამამუშავებელი საწარმოს (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შპს „ველის“ საკუთრებაში მყოფი წიდის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ფუნქციონირებს 2019 წლიდან, მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. რუსთავში. საწარმოს ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X – 343720 Y – 4608770. უახლოესი დასახლებული პუნქტი აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 800 მეტრით.

საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 50000 $მ^3$ (40 000 ტ) მოცულობის წიდის (პემზის) დაფქვა. საწარმო წიდას ღებულობს ავტოთვითმცლელებით და ათავსებს ნედლეულის საწყობში, საიდანაც წიდა გადადის სამსხვრევი დანადგარის ბუნკერში. შემდეგ ეტაპზე ნედლეული მიეწოდება ყბებიან და დოლურას ტიპის სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარს, სადაც ხდება წიდის ორჯერადი დაფქვა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად. დაფქული წიდა ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით საწყობდება მზა პროდუქციისთვის განკუთვნილ საწყობში.

საწარმოს წყალმომარაგება ხდება ობიექტზე არსებული ლიცენზირებული ჭიდან, საიდანაც აღებული წყალი გამოიყენება პემზის დანამვისთვის. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ჩამდინარე წყლები საწარმოში არ წარმოიქმნება.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესები მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ. ჰაერში გაფრქვეული მტვრის შემცირების მიზნით ხდება წიდის (პემზის) დანამვა. მტვრის გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია საფქვავი დანადგარის ექსპლუატაციისას, ავტოთვითმცლელების მოძრაობისას და ნედლეულის საწყობში მოთავსების დროს, ასევე მტვრის გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს მზა პროდუქციის და ნედლეულის საწყობები.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია ხმაურის გავრცელება საფქვავი დანადგარის მუშაობის და ავტოთვითმცლელების მოძრაობის დროს. საწარმოს

ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტის დაშორების მანძილის გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად. ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერებში, რომელიც პერიოდულად იცლება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების მიზნით შეძენილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

წარმოდგენილი ინფორმაციით საქმიანობა არ ითვალისწინებს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას. საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან, შესაბამისად ზემოქმედება მცენარეულ საფარზე მოსალოდნელი არ არის.

სამუშაოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ წიდის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას, ადგილმდებარეობის, სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ველის“ წიდის გადამამუშავებელი საწარმოს (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ველი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ველი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ველის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ასპინძის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი